



სათაასტრო სალიტარ. ჟურნალი



† მ. ქ. ყიფიანი (იხ. ამავე ნომერში)

№ 51—1916  
კვირა, ქრისტ. 18

წელ. მიოტხე|ლასი  
გამოსვამიას 15 კ.

მიიღება ხელის მოწერა  
დაწვრილებით იხ. მე-16-ე 88



† გიორგი კონსტანტინეს-ძე სირსელი  
გარდ. გიორგ. 17 (წ. იხ. „თ. და ც.“ № 48)

შინაარსი

- 1, მეთაური — ვისი ან რის ბრალა? . . . . . 2
- 2, ივ. გომართელი — სადღეისო . . . . . 7
- 3 დავ. კილოსანიძე — ცხე . . . . . 4
- 4, ს. ერთაშვინდელი — სერბულთ მარში . . . . . 5
- 5, შალვა დადიანი — ეველინა წუწუნავა . . . . . 8
- 6, შირ. სარაელი — დედა (დასასრული) . . . . . 6
- 7, ღრუბელი — ალვას ხას ფათალი . . . . . 9
- 8, იოსებ არიმათიელი — ერთა მათგანი . . . . . 8
- 9, კ. ძიძაძე — მკასანი . . . . . 7
- 10, გრ საქაროქედელი — მოსე მწერალი ზესს  
გგ. ნინო შვიდის მოთხრობადან (გაგრძელება) 10
- 11, ილოვანი — ალექ. გარს. ჭავჭავაძე . . . . . 12
- 12, იავო ტეტუნაშვილი — ბოლი . . . . . 13
- გ ჯაბაური — სახალსო თეატრის ისტორია 7
- 14, სახიობა, წვრილი ამბები . . . . . 7



თუ დღევანდელი ომი კიდევ დიდხანს გაგრძელდა, ყველაზე უფრო გამარჯვებული რუსეთი გამოვა — შინაური მტრის დამარცხებით.

რუსეთი აუცილებლათ უნდა განახლდეს. რუსის ხალხს ფართო და თავისუფალი გზა უნდა მიეცეს განვითარებისა და თვით-მოქმედებისაკენ. მას უნდა ჩამოშორდნენ ის მუქთაობორები, რომლებსაც რუსეთი საწველ-ფურათ გაუხდიათ და რომლებიც მხოლოდ საკუთარ ჯიბისათვის ფიქრობენ ასეთ არაჩვეულებრივ დროს, როდესაც მამულის სიყვარულმა თვით გულქვას და ზნე გახრწნილ ადამიანსაც კი უნდა დაუნთოს შინაგანი ცეცხლი გატაცებისა და თავ-დავიწყებისა.

თუ ომი კიდევ თიდხანს გაგრძელდა, რუსეთი განახლებული, მაშასადამე გამარჯვებული გამოვა.

რუსის ხალხის ამგვარი გამარჯვება ჩვენთვის ფრიად განახარებელია, რადგანაც:

ერთ ბედ ქვეშა ვართ ღმრთე მე და შენ, ბედმა გვარგუნა შავი მიწა ჩვენ.

მაგრამ ეს გამარჯვება ჩვენი გამარჯვება არ არის.

რატომ?

რუსეთის განახლება უფლების კვერთხს მისცემს რუსეთის ბურჟუაზიას, რუსეთის ბურჟუაზია წარმოშობს კადეტთა და ოქტომბრისტთა პასუხისმგებელ სამინისტროს.

რუსეთის დღევანდელი სინამდვილისათვის ეს არის მთა.

ეს მთა-კი რას მისცემს ჩვენს სინამდვილეს? თავგს! ე. ი. ძალიან პატარას, ძალიან ცოტას.

ადამიანმა საერთოთ დაპირება მეთი იცის, ვიდრე გამეტება და ასრულება.

რასაც რუსეთის მთავრობა გაქირავების დროს გვიპირდებოდა, ის რომ დაღმინების დროს აერუსლებია, კიდევ არა გვიპირდარა.

უფლებას მოკლებული კლასი ყოველთვის ვპირდება ბევრს და, როცა უფლების სკამზე წამოსკუბდება, ძალიან ცოტას ავისრულებს, — მაშინ სხვა ენაზე იწყებს ხოლმე ლაპარაკს.

აბა მიბრძანეთ, ვის რას დაჰპირდენ კადეტები და ოქტომბრისტები?

კადეტები პოლონელებს დაჰპირდენ ავტონომიას, სხვებს კი — ნიახური!

ისეთი პატარა ერები, როგორც ქართველები, კავკასიის სომხები, თათრები და სხვ. მათთვის თითქოს არც კი არსებობენ.

ოქტომბრისტები კი არავის არასფერს არ დაჰპირებიან.

შესაძლებელია, დღეს ხანდახან ათასში ერთხელ გავახსენდებით ხოლმე (თუმცა ესეც საექვია); ხოლო როცა უფლებას ხელში ჩაიგდებენ, სრულებით დაგვივიწყებენ, — ეს საექვია არ არის.

მაშ რა უნდა ვქნათ პატარა ერებში?

ჩვენ თვითონ არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი თავი.

ჩვენ თვითონ უნდა გვიკონდეს გამოარკვეული ნათლათ და მკაფიოთ, თუ რა არის ჩვენი ერისათვის საჭირო და ეს საჭირო უნდა მოვითხოვოთ მტკიცეთ, შეუპოვრათ, ამაყათ, ღირსეულათ, მთელის ჩვენის არსებით.

საქართველოს ჰლუბავდა წარსულში ერთი მეორის გაუტანლობა: ქართლი არ იტანდა კახეთს, იმერეთი ქართლსა და სხვა და სხვა. ესთქვათ ამას ეხსნით ფეოდალური წყობილებით.

ფეოდალური წყობილება, მადლობა ღმერთს, მოისპო, კლასებათა და პარტიებით დაირაზმა ქართველი ერი, მაგრამ ეს ძველებური გაუტანლობა მაინც დარჩა და მაინც.

მიოქვამს და კიდევ ვიტყვი, — შეუძლებელია, შინ ერთმანერთთან დავა არა გვიკონდეს, მაგრამ როდესაც საქმე მთელსაქართველოს ეხება, როდესაც უნდა გადავწყვიტოთ ისეთი კითხვები, რომლებზედაც მთელი ჩვენი მომავალი დამოკიდებული, აქ ყველას თანხმობა, — ერთად მოქმედება საჭირო.

თანხმობა, ერთად მოქმედება კი აუცილებლათ ითხოვს დათმობას.

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც არავითარი დათმობა არ შეიძლება, — ასეთი დათმობა სისუსტეა, სილაჩრე, ღალატი.

სამაგიეროთ არის ისეთი შემთხვევა, როდესაც დათმობა აუცილებელია, როდესაც ასეთი დათმობა გმირობა, მოქალაქეობრივით მომწიფების დადასტურებაა.

დღევანდელი მომენტი ასეთი დათმობის გზას ითხოვს ყველა ჩვენი პარტიებისაგან, რადგანაც დღეს უსათუოდ დათმობით მოქმედება საჭირო მეტი ეროვნული სარგებლობის მოსაპოვებლათ.

რანაირათაც უნდა განახლდეს რუსეთი, ჩვენ შინაც არაფერს მივიღებთ, თუ განახლებული რუსეთის წინ არ გაისმა მთელი ქართველი ერის შეწყობილი გუგუნე.

თუ საციალ-დემოკრატმა სიცილი დააყარა მას, რასაც ფედერალისტი მოითხოვს, ან ფედერალისტმა ჩაქოლა ის, რასაც ნაციონალისტები მოითხოვენ, ან თუ ყველამ ცალცალკე წამოვაყენეთ ჩვენი მოთხოვნანი, განახლებული რუსეთი ჩვენ არაფერს არ მოგვცემს.

რაც დღეს არის, ის შეიძლება ხვალ აღარ იყოს. დრო იჩქარის. ჩვენც უნდა ვჩქარობდეთ.

თუ პარტიებმა ძველებური მოუმზადებლობა გამოიჩინეს და საერთო სიტყვები საერთო სამშობლოს ასამაღლებლათ ასეთ საშინელ და ამასთანავე მეტათ იშვიათ დროშიც ვერ გამოახეს, ქართველი დემოკრატია ვადღებულობა, ხმა აამაღლოს.

განახლებულ რუსეთს უწინარეს ყოვლისა უნდა მოსთხოვოს ისეთი წყობილება, რომ ქართველი ერის ენა, ქართველი ერის მიწა-წყალი, ქართველი ერის კულტურა, ქართველი ერის განვითარება, უზრუნველ ყოფილი იყოს.

ამისათვის საჭიროა აღდგენა იმ პირობისა, რომლითაც ძველი რუსეთი შეეკრა ძველ საქართველოს.

საქართველოსათვის აუცილებელ საქროებას შეადგენს ტერიტორიალური თვითმართველობა (ავტონომია). ეს აღნიშნულია ჩვენს ძველ ხელ-შეკრულობაში, ეს მოიპოვა ქართველმა ერმა დღეს საკუთარს სისხლით.

ქართველი ერი რუსეთთან ერთად ომობს და სისხლსა ღვრის. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს არც ერთ ომს მტერთან არ უმსხვერპლია ამდენი ჩვენი მოძმე, რამდენიც დღეს რუსეთმა შეიწირა ჩვენგან.

ნაცვლათ ამისა განახლებულმა რუსეთმა

არა თუ უნდა მოგვცეს, ის ვადღებულობა მოგვცეს, ჩვენ ის უნდა ვაიძულოთ მთელის ჩვენის არსებით, მოგვცეს ის, რისი უფლება — ისტორიასაც რომ არ მოეცა, — მოგვანიჭა ჩვენ ჩვენი მოძმეების დაღვრილმა სისხლმა.

საქართველოს ტერიტორიალური თვითმართველობა!

— აი რის გარეშემო უნდა დაირაზმოს დღეს ქართველი დემოკრატია.

და თუ ჩვენმა დემოკრატამ სიმტკიცე, სიფხაზღე და ეროვნული სიმწიფე გამოიჩინა, უსათუოდ გაიმარჯვებს.

ძველმა რუსეთმა არ დასრულა თვისი დაპირება, ახალმა უნდა დასრულოს.

*ა. კ. მთელი*

## ც ი ხ ე

ზ დ ა ხ ა რ ი .

ამაყად ამართულა მღუმარე ციხე მიუდგომელ კლდეზე. სიძველისაგან კედლებს ზოგან კბილები დასცვივინა, მაგრამ უკბილოც შიშის ზარსა სცემს გამვლელ ადამიანსა.

შინაური გაივლის, პირს ჯვარს გამოისახავს და მფარველობას შეევედრება ჩუმიდ უფალსა.

უცხო გაივლის, გული აუცახცახდება თქმულებისაგან: „შოგა ჟამი, ხმარს ამოიდებს ციხე, გაიძება მისი მალეშუდი კარი, გაჩნდება ქსანკში შესუდი პატანი და ცხფრების კრდემლზე ბედნიერებას მოუჭედს თავისიანებს.“

ს — ციხის მფლობელი კი ბეჯითად ითვინებს მალლა ზეცაში აღმაფრენასა, დაბლა ზღვის პირში და დედამიწის ზურგის სიბრძნესა..

დრო ქალარავდება, ბერდება ციხის კარი არ იღება, მაგრამ ხალხს მტკიცედ სწამს ისევ თქმულების განხორცილება.

*ა. კ. მთელი*

მაისის 10-ს  
ქ.თბილისი. 1915 წ.

# სერბიელთ ახალი მარში

დაპკარით საყვირს!.. აბა მხნედ ორბნო  
ერთგულნო ძენო! სამშობლოს მტრფობნო.

მამულსა ჭფლობენ მტერთა ურღონი,  
სიკვდილის მფრქვეენი, კაცთ დაუნღონი.

ფრიადებს დროშა! — ძლევის სიმბოლოა;  
ძმანო წინ!.. თორემ გვედება ბოლო!..

## ს. ერთაწმინდელი

# ეველინა წუწუნავა

რა გულსაკლავია ჩემთვის, რომ ეველი-  
ნაზე უნდა ვილაპარაკო როგორც მიცვალე-  
ბულზე...

გასახსენებელი კი ჩვენი უბედო ეველინა.

მას ფართო საზოგადოება ვერც კი იც-  
ნობს. ვერ იცნობს იმიტომ, რომ მეტად ხან-  
მოკლე იყო მისი მუშაობა ჩვენს სცენაზე და  
სრული გადაფურჩქენა არ ღირსებია მისს უსა-  
თუოდ მკვირცხლ ნიქს, მის საკვირველ ეს-  
თეტიურ გემოვნებას.

შესაძლებლობა კია დიდი იყო.

ჩვენი თეატრი ჯერ კიდევ ვერ დადგო-  
მია დიფერენციაციის გზას. ჩვენ ყველაფერს ვე-  
პოტინებით: იბსენიც გვინდა და დეკორატი-  
ლიც, შექსპირიც და არცბაშევიც.

ამას აქვს თავისი „რეზონდეტრი.“

მაგრამ აქამდე ვერ ჩამოგვიყალიბებია  
ჩვენი საკუთარი ეროვნული თეატრი.

ეს კიდევ მომავლის საქმეა.

რასაკვირველია, იყო შთანასახი. შესულ  
უახლოეს დროს ეხსენებ თბილისში „მსხვერ-  
პლი“ და ქუთაისში კლდიაშვილს პიესები ამის  
თავდები იყო.

მერე როგორ თავისუფლად სუნთქავდნენ  
ჩვენი მსახიობნი ამ ბუვის ჰაერში.

ეველინაც ამ ჰაერისთვის იყო გაჩენილი.

მას დიდი ღონე ჰქონდა დასაყვლეთ სა-  
ქართველოს ქალთა განსახიერებლად.

ეს მან ნათლად დაგვიმტკიცა:

მისი „ქრისტინე“, „სალიხე“ — ეს ხომ დაუ-  
ვიწყარი ნაკვეთებია მისი შემოქმედებისა.

ერთ დროს მეც შემხვლა წილად სიამო-  
ვნება, რომ მისი ხელმძღვანელი ვყოფილიყავ

და... ვგრძნობდი, რომ მას კიდევ მეტი შეე-  
ძლო ამ ეროვნულ ნიადაგზე. ხოლო გული  
მიკვდებოდა: გასაქანი არა ჰქონდა მის გან-  
საკუთრებულ ნიქს.

არ იყო ქარგა, არ იყო პიესები.

მე მგონია, და ეს გადამეტებული არ იქნე-  
ბა, რომ ეველინათი ჩვენ ჩვენი სტრუქტურა  
მოგვევლინა. მე ნიქის დიპაზონს არ ვადარებ.  
მხოლოდ არ იყო პისემსკი, არ გახლდათ  
პოტეხინი და სხვა.

ამ გვარად რომ კიდევ ეცოცხლა, რომ  
კიდევ მოჩენილიყა მომაკვდინებელ სენი-  
საგან, მგონი რომ საქმეს ვერ გაუჩენდით  
დღევანდელ ჩვენს ქრელ თეატრში.

მე მგონია ტრაგიზმი ეროვნულ თეატრი-  
სა მეტ უკიდურესობას ვერ მიაღებია.

მხოლოდ ეველინას მთავარი ღირსება კი-  
დევ ის იყო, რომ ის, როგორც პიროვნებაც,  
სხვებისგან განირჩეოდა.

უმწიკვლო და მეტის მეტი ფაქიზი ზნე  
ობის, პირდაპირი და მტკიცე ხასიათის.

ის იყო იმ პირველ მერცხალთაგანი, რო-  
მელთაც თეატრი მართლა ტაძრად მიაჩნათ  
და მუნ ყოფნა ღვთის მსახურებად. ამიტომაც  
ყოველივე მიწიერი და შერყენილი გულს უკ-  
ლავდა, ცხოვრების მიერ მოტანილი ყოვე-  
ლივე ქუქუ ზიზღსა ჰგვრიდა და ამას არც  
მაღავდა.

ვერ ურიგდებოდა, კომპრომისი მისი სა-  
ქმე არ იყო.

ჩვენ კი, რომელთაც ცხოვრების მეფის-  
ტოფელმა ბევრი რამ საცბიერო ჩავგჩურჩულა,  
წინ აღვუდგებოდით ხოლმე მის პირდაპირო-  
ბას, მაგრამ, თუ გულწრფელნი ვიყავით, მუ-  
დამ ვგრძნობდით, რომ სიმართლე მისკენ იყო.  
ღიად, ეველინა, ღიად! თეატრი უსა-  
თუოდ ტაძარია და შენ ერთი მისი საუკეთე-  
სო ვესტალკა იყავ.

ჩვენ შიაც ოდესმე უთუოდ ასე იქნება.  
მაგრამ ვაი რომ დღეს ეს საკითხიც სა-  
ქოქმანოთ გვაქვს.

ცოცხალი რომ იყო, კარგად იგრძნობ-  
დი, რა მწვავე უნდა იყოს ჩემთვის ამის შე-  
გნება.

ჩემთვის, რომელმაც ამდენი ხანი მოვა-

თიე ჩვენს თეატრში და ამ მონაქვევზე მაინც ასე ვფიქრობ.

ფიქრობ, რომ უდროოთ მოხველ შენც. შენ პირველი მერცხალთაგანი ხარ ჩვენის თეატრისა.

უდროოთ, რადგან ჯერ კიდევ ჩვენს თეატრში დიდი ზამთარია.

სანუგეშო მხოლოდ ის და უნდა იყოს, რომ ვერ დაეჯერებ:

შენისთანების „სულის კვეთება“ ერთი დროა „უქმად არ ჩაივლის“.

პირადათ კი ვგოდებ რუსი პოეტის სიტყვით: „ვაჰ, რომ დასქვნი უდროოთ ნისლიან დღის განთიადზე“.

*Handwritten signature*

### დ ე დ ე

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 49-50).

იმ დამეს „ის“ ძალიან ახველებდა; სულ წყალს სვამდა. იმავე დამეს მოტრიაც უქეიფოდ იყო-ჯერ ისევ ბნელოდა, რომ ლოვინზე წამოჯდა და დედა გააღვიძა.

— დედილო, ყელში რაღაც მიჭერს, ნერწყვის ჩაყლაპვა მიჭირს!

— რა გიყო, შვილო, რა გიშველო? — დაფაცურდა ბარბარე და კრაქის ძებნა დაიწყო.

შიოც წამოხტა, ტახტზე წამოჯდა და ნაღვლიანად შესცქეროდა ბარბარეს და მის ქალიშვილს. მოტრია სიცხისაგან იწოდა; ყელი ისე გაჰსიებოდა, რომ ლაპარაკი არ შეეძლო.

— ჰა, დედა?! — ეკითხებოდა შიო, რა შია საქმეო.

ბარბარემ მოტრიას ყელზე უჩვენა. შიომ თანაგრძობით თავი გაქნია, ხელები გაშალა და მუხლებში შემოიკრა: ეტყობოდა, რომ ებრალებოდა ორივე, მათი შველაც უნდოდა, მაგრამ რით, თვითონაც არ იცოდა.

ბარბარემ აქაფებული საპნით დაუზილა მოტრიას ყელი და თბილი შალი შემოაქრა.

— დაწეკი, ჩემო გოგონავ, ფეჩზე და გათბი; იქნება სითბომ გაგიაღვილოს.

ყველა დაწვა, მაგრამ კრაქი დილამდე

ენტო.

მოტრიას არამც თუ გაუადვილდა ტკივილი, დლით უარესად შეიქმნა.

შიო ძალიან ადრე ადგა და ცდილობდა, რითაც კი შეეძლო ეშველა: შეშა ბლომად დასქრა, ფეჩი თვითონ გაახურა, გამოართვა პარასკას ვედრო, როცა ნახა, რომ ის წყალზე უნდა წასულიყო და თვითონ მოიტანა წყალი. ოთახში რომ შემოვიდოდა, ყოველთვის მივიდოდა მოტრიასთან, რომელიც იქვე ფეჩთან იწვა, მოჰკიდებდა ხოლმე ხელში ან შუბლზე ხელს დაადებდა, თავს გააქნევდა და მუხლებზე ხელებს შემოიკრავდა.

ისაუზმეს თუ არა, ბარბარე ექიმისათვის დაბაში წავიდა.

პარასკამ კურკელი დაალოგა. ოთახი გამოგავა, შიომ ნავავი გაიტანა, მერმე ტახტზე ჩამოჯდა და სულ ერთთავად ავადმყოფ მოტრიას შეჰყურებდა და თავს აქნევდა.

ბარბარემ ექიმი მოიყვანა. უკანასკნელმა გასინჯა ავადმყოფი და დასძინა, ერთ სამ დღეს კიდევ გაწვალებს ყელი, მერმე დამწიფდება და თვითონ გამოერწყობაო. ყელში გამოსავლები წაშალი გამოუწერა, თბილად შეუხვიე ყელიო და უკვე წასვლას აპირებდა, რომ იქ მდგომი „აზიატი“ შენიშნა.

— თქვენც ჩაგიყენეს მოლაშქრე? რა თარხნად თქვენა ხართ, რომ სხვაც გადაგიღეს, — უთხრა ექიმში ბარბარეს.

— არა მიქირს-რა, ბატონო, — მიუგო ბარბარემ. — დე იყვეს, არას მიშლის, კაი გულისა და საწყალი; არის აქ თავისთვის, მასთან ცდილობს, რაც შეუძლია გვეხმარება გაისარჯეთ, ბატონო, და ისიც გასინჯეთ. ისე ახველებს ღამ-ღამობით, რომ მოსვენება არა აქვს. ჩამოიყვანეს აქ დაგლეჯილ-დაფლეთილი, უქუდო და, როგორც ჰხედავთ, ფეჩ-ში შევლა... იქნება გამოუწერთ ისეთ რამეს, რომ ხველა გადაუფარდეს? — ჰკითხა ბარბარემ.

ექიმი შიოს მიუახლოვდა.

— ახველებ, ჩემო კარგო? — ჰკითხა ექიმმა.

— ხარაშო...

— აი ესე სულ „ხარაშოს“ გაიძახის ამის მეტი არა იცის-რა, სთქვა ბარბარემ.

— აბა გაიხადე, მეგობარო,—მიმართა ექიმმა შიოს და აჩვენა ხელით, ახალუხი გაიხსენიო.

შიომ ტანთ გაიხადა; ექიმმა გულდასმით გასინჯა შიო.

— ცუდათაა მისი საქმე, ქალო,—მიუბრუნდა ექიმი ბარბარეს:—ქლექიანია. ამისთანა ყოფაში და ჯარის-კაცის სამსახურში დიდხანს ვერ გასტანს. მაგის საქმე წასულია.

— რას მეუბნებით!—წამოიძახა ბარბარემ.—ამისთანა ავადმყოფი რაში ესაჭიროებოდათ, რომ შიშველ-ციტველი სიცოცხეში ჩამოიყვანეს.

ექიმმა მხრები ასწივ-დასწია.

— რა ვიცი? ალბად ვერ შენიშნეს ექიმებმა, როცა სინჯავდნენ სამხედრო სამსახურში წასაყვანად. შეცდომა ამ შემთხვევაში ხშირია. კავკასიელები სუსტი ხალხია, ჩვენს სიცოცხეს და ჰევის ვერ იტანენ... ხველების წამალს გამოუწერ, როცა მოხვალთ აფთიაქში თქვენი ქალის წამლებისათვისა, მომაგონეთ, და მაგისთვისაც მოგცემთ. ხველება ცოტას მოეშვება, მაგრამ ქლექს ვერა ეშველება რა, თავისას იზაჰს. ხომ ჰხელავ კაცს აღარა ჰგავს, ისე ავად.

ბარბარე მაშინვე წამლებისათვის წავიდა.

მოტრია სამ დღეში გამოკეთდა, შიოს კი ვერ უშველა ბარბარეს მოტანომა წამალმა.

ერთი კვირის შემდეგ შიო მოვიდა საღამო ხანსა უკვე ჯარის-კაცის ტანისამოსში; ზედ ეცვა შინელი, კარტუზი და ჩექმები მიკოლას ქუდი, ახალუხი და თბილი შალის ყელსაფარი ბარბარეს გადასცა და სთქვა:

— ხარაშო, დედა!

— დეე შენი დუშმანი და მტერი იყოს ისე „ხარაშო“, როგორც შენა ხარ!—გულდაწყვეტილად უპასუხა ბარბარემ.—ყელსაფარი მაინც დაიტოვე, კისერზე შემოიხვევ, რომ არ შეგცივდეს:

— ხარაშო, დედა!

დაიწყეს ახალ ჯარის-კაცების სამეცადინოდ დილა აღრან გაყვანა. შიო ისე აღრე გადიოდა სახლიდან, რომ ბარბარეს საუზმეს ვერ უცდიდა. ბინდისას ბრუნდებოდა ისეთი

დადლილი, ქანც-მილეული, რომ ვახშობის თავი არა ჰქონდა. ტახტზე წამოწვებოდა და სუნთქვა უჭირდებოდა. მის გულში კი ისეთი ხრიალი მოისმოდა, რომ შორით მდგომი გაიგონებდა. ლამ-ლამობით უარესად ახველებდა.

ერთ ღამეს ხველამ არ იქნა, არ მოასვენა, ისე მძლავრად ახველებდა, რომ კენესა დააწყებინა. ბარბარე ლოგინიდან წამოხტა.

— დედა!—მოესმა წყნარი კენესა. დედა!

— რა გინდა?

შიო ჩუმად იყო. მხოლოდ თითქოს მდურარე ქოთანთან ჩუხჩუხი მოისმოდა.

ბარბარე ძირს გადმოვიდა და ქრაქი დაანთო. შიო ტახტზე წამომჯდარიყო, მის წინ იატაკზე სისხლის გუბე იდგა: მისი წვერი და პერანგი სისხლში იყო გასვრილი. მის ფიტვებს ხრიალი გაჰქონდა. გულზე ხელს იდებდა.

— რა დაგემართა, ჩემო გვრიტო!—შემოიკრა შეშინებულმა ბარბარემ თავში.

შიომ თავი ჩააქნია; ლაპარაკი არ შეეძლო, ხელით ანიშნა, წყალი მიწდმო. ბარბარე დაფაცურდა და წყალი მოუტანა. შიო ტოლჩას დაეწევა და დიდხანს, გაუმაძღრივ სვამდა.

— ეხლადაწექი, მოისვენე,—უთხრა ბარბარემ და ხელით ანიშნა.

შიომ თავი გააქნია, არ შემოძლიანო. ბარბარემ ტილო წყალში დასველა და წვერი და პერანგი გაუწმინდა.

— აბა რა ვიშველო ეხლა?—სწუხდა მოხუცი.—გათენებამდე კი ბევრი დრო გავა.

შიო სდუმდა, ხოლო მძიმედ სუნთქავდა, მის გულში კა ისევ ჩუხჩუხი მოისმოდა.

გათენებამდე გვერდში უჯდა ბარბარე: რამდენიმეჯერ დააღვეინა წყალი. ხველა ცოტა ჩაუდგა; მხოლოდ გათენებისას მოქანცულ შიოს ჩაეძინა.

დილით სავარჯიშოდ ვეღარ წავიდა. საკმელს არ იკარებდა, სულ წყალსა სვამდა. ისაუზმა ბარბარემ და ექიმის მოსაყვანად მოემზადა, რომ ორი მოკალი მოვიდა: ერთი ამისავით „იზიატი“, მეორე—ჩვენებური.

მოხუცმა ქალმა ყველაფერი უამბო მათ, რაც დაემართა შიოსა. ორივეცოტა ხანს გა-

ჩერდა, „აზიატი“ თავისებურად გამოეცაპრა-  
კა შიოსა და ორივე წავიდა. ერთ საათში სა-  
პოსპიტალო ეტლი მოიყვანეს და ავადმყოფი  
ლაზარეთში წაიყვანეს.

—

თითქოს დაკალიერდა და მოიწყინა ოჯა-  
ხმა, რაც შიო წაიყვანეს, ძალიან კი შეეჩვი-  
ვნენ მას. მაგრამ მალე უპირობასაც შეეჩვი-  
ვნენ და დაივიწყეს. ზოგჯერ საღამო ხანს ქა-  
ლიშვილები მოიგონებდნენ „აზიატ შიოსა“,  
ბარბარე კი მწუხარედ ოხრავდა.

გავიდა ორი კვირა. სრულიად შემთხვე-  
ვით ბაზარზე ვილაკასგან გაიგო ბარბარემ,  
რომ ლეიბინის დიდ სასტუმროს გვერდით  
ახალ ჯარის-კაცებისთვის ლაზარეთი მოაწყვე-  
სო. ბარბარეს ძალიან მოუწონდა იქ მისვლა და  
თავისი ყოფილი „სტუმრის“ ამბის გაგება.

— იქნება მაჩვენონ კიდევაც?— ფიქრობ-  
და მოხუცი, — საბრალოს ქაქანებაზე აქ არა-  
გინ გააჩნია: არც დედა, არც დები, რომ მი-  
ვიდნენ და ავადმყოფი ინახულონ.

ერთი ხუთი წაშლი იყო და ლაზარეთ-  
ში წავიდა.

შესავალში მოსკალი იღვა.

— რა გინდა, ქალო? — ჰკითხა დარაჯმა.

— აქ, ძმობილო, მგონია, ავადმყოფი  
ახალი ჯარის-კაცები „აზიატები“ უნდა იწი-  
ვნენ.

— კი, არიან.

— შე მინდა ვნახო... ჩემთან რომ სალ-  
დათი იყო ჩაყენებული, აქ მოიყვანეს... შიო  
ჰქვია სახელიად... ჰ, არის?

— ნახვა გინდა? აბა შედი და მორიგ  
ფერშალს ჰკითხე.

ბარბარე შევიდა წინა ოთახში და ჰკით-  
ხა ფერშალსა:

— შიო აქ არის, ბატონო? „აზიატი“,  
ახალი ჯარის-კაცი...

— შიო? მგონია, უნდა იყვეს... რა  
სტკივა?

— ქლექიანია, ბატონო... სისხლს აღე-  
ბინებდა...

— ჰო, არის, აქაა. კვდება, დედილო,  
მალე მოკვდება... სჯობია არ შეხვიდე...

ბარბარეს გული მოუკვდა, ძალიან შეე-  
ცოდა.

— მაშ იქნება შორიდან მაინც მნახოთ?  
პირჯვარს მაინც გადავწერ და... — სთხოვდა  
ბარბარე.

— აბა შედი, — სთქვა ფერშალმა და ბარ-  
ბარე შეიყვანა.

ღაბალ გრძელ ოთახში ათამდე საწოლი  
იღვა, სადაც ავადმყოფი მოსკალები იწვნენ.  
ფერშალი მოვიდა უკანასკნელთან, რომელიც  
კუთხეში ფეხთან იწვა. ბარბარემ დაჰხედა  
ავდმყოფსა და ძლივ იცნო: თუმცა უწინაცა  
გამხდარი იყო, მაგრამ ეხლა გამხმარიყო, —  
ცარიელ ჩონჩხს დაჰსგავსებოდა, კანი მიწ.  
სავით გაშვებნიყო, თვალები ღრმად ჩასცი-  
ვნიდა და ღამის ვარსკვლავით ანათებდა.

შიომ კი ბარბარე იცნო. თვალები გაუ-  
ბრწყინდა და უხმომ ჩურჩულით დაუძახა:

— დედა...

— საბრალო, შიო, უბატრონოდ ხარა  
შე საწყალო!

წაიჩურჩულა ბარბარემ თავისთვის,  
თვალზე ცრემლი მოადგა და ვერ შეიმგრა.

— დედა!.. — დაუძახა ავადმყოფმა და თა-  
ვისი ცეცხლივით ცხელი, გამხმარი ხელით  
ბარბარეს ხელი გამოართვა.

— შეიძლება, ბატონო, ერთი-ორი ვა-  
შლი შექამოს? — შეეკითხა ფერშალს ბარბარე,  
თან ვაშლი ამოიღო.

ფერშალმა ხელი ჩააქნია.

— ვაშლი კი არა, დედილო, რაც აქ  
მოიყვანეს მას შემდეგ წყლის მეტს არაფერს  
ღეჟულობს.

შიომ თვალთ მადლოზა გადაუხადა და  
თავი გააქნია, არ შემიძლიანო. ბარბარემ ვა-  
შლი შეინახა და ცრემლები მოიწმინდა; წყნა-  
რად იღვა და შეჰყურებდა ავადმყოფის საცო-  
დავ სახეს.

— ამალამ გათავდება, — სთქვა ფერშალ-  
მა. ძალიან აღებინა სისხლი.

ბარბარემ წყნარად სამჯერ გადასწერა  
პირჯვარი ავადმყოფსა.

— მშვიდობით, შიო!..

— ხარაშო, დედა!.. — წაიჩურჩულა ავად-  
მყოფმა.

მირ. ხარხელი.

ქ. კიევი. 1916 წ. გიორგობისთვის 8



# აღვის ხის ფოთოლი...

აღვის ხის ფოთოლი, ფოთოლი ფერმკრთალი,  
მოსწყდა და მიწისკენ დაეშვა შემკრთალი,  
მოსწყვიტა გრიგალმა, მოსწყვიტა წყეულმა,  
და რა ჰქნას ფოთოლმა. ობოლმა, ეულმა?!

აქ მოდი ჩემთანა, აქ მოდი ფოთოლო,  
ჩემსავით მომწყდარო, შენც ჩემებრ ობოლო;  
მეც შენებრ ჩამოვწყვიდი მშობლიურ მხარესა  
და დღეს კი ვერ ვხედავ მის ვარსკვლავ-მთვარესა .

მაგრამ ხომ შენ ბედით მჯობობხარ მაინცა,  
რომ თავზე დაგტყერის სამშობლოს ღურჯი ცა...  
მით ხარ ბედნიერი, სად იშვი—იქ კვდები,  
და მშობლიურ ცრემლებს მაინც ეღირსები...

მშე-დობით, მშვიდობით ყვითელო ფოთოლო,  
შენ ჩემი ხანმოკლე სიცოცხლის სიმბოლო.

ღრუბელ :

## ერთი მტვანი

ქმიხელ ქაიხოსროს ძე ყიფიანი.

ს ქეიშხეთში ქრისტეშობის 10 გარდაიცვალა  
მიხილ ქაიხოსროს ძე ყიფიანი, ღვიძლი ძმის წული  
ღმიტრი ყიფიანისა, ერთი იმთვანი, რომელთაც 70-  
80 წლებში რუსეთსა და ჩვენში ხალხოსნობა (ნაროდ  
ნიკობა) შეჰქმნეს.

პეტროგრადის უნივერსიტეტში საბუნებისმეტ-  
ყველო ფაკულტეტზე სწავლის დამთავრების შემდეგ  
გორს გააწესდა მასწავლებლად და საუკეთესო ეროვ-  
ნულ მასწავლებლადაც ითვლებოდა.

80-იან წლებში მონაწილეობდა ჩვენს სათეატრო  
საქმეებში როგორც მოყვარული მსახიობი, რეჟისორი  
და გამგეობის წევრი.

ხალხოსანთა მოძრაობაში მონაწილეობის გამო  
იჯდა ციხეში, სამჯერ ციმბირშიაც იყო გადასახლე-  
ბული და სამიოდე თვის წინად კიდევ დააპატიმრეს  
დასმენით.. სიკვდილის კარამდე ჰზვერავდენ.

მასწავლებლობის შემდეგ მსახურობდა რკინის  
გზაზე რეჟისორად, დიდი მუყაითობა გამოიჩინა და  
ბევრი ბოროტ მოქმედება აღმოაჩინა, მაგრამ მოძ-  
რაობის ხანში მიტინგებზე მონაწილეობის გამო ეს  
ადგილიც დაჰკარგა. ერთხანად საქალაქო ლომბარდში-  
აც მსახურობდა.

70 წ. იქნებოდა მიღწეული.

იკვლევდა ქართულ ენის ბუნებას და რავლენიმე  
წერილიც დასწერა.

საზოგადოებრივ ასპარეზზე თუ კერძო ცხოვრე-  
ბაში ბევრი გასაჭირი გამოირა და მიუხედავად ამისა,  
მუდამ საზოგადო საქმეს აღფრთოვანებდა. მის ცხოვრე-  
ბა მოღვაწეობას დაწერილებით შემდეგ გაგაცნობთ,  
ახლა კი ვუსურვოთ მშვიდათ განსვენება მას, რომლის  
ფიქრი საზოგადოებრივ საქმეებს შესტრფილებდა...

იოსებ არიმათელი.



შტაბს-კაპიტანი, გიორგის კავალე-  
რი ალექსანდრე რაჟდენის-ძე გიგა-  
ური.

დახავლეთის ფრონტზე ომში ტრალიკუ-  
ლად დაღუპვიდან წლის თავის შესრუ-  
ლების გამო.

## გგოსანი

მე სინათლის შიკრიკი ვარ,—

ნათელ სხივად მოვლენილი;

ხალხის წყლულის მოზიარე,

ხალხისათვის გაჩენილი...

მე მზემ მშობა, მზემ დამბადა,

ძღვევის სკრიპტრა მომცა ხელში;

და დღეს დავალ, რომ სინათლე

მიმოვფინო ბნელ სოფელში!..

კ. ძიძაძე

# მოსე მწერალი

პიესა 4 მოქ. სოფლის ცხოვრებიდან

ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული ვრ. საქარქიკედელის მიერ

## მოკმეღება მიორა

### I

(სცენა: სუფთად მილაგებული ოთახი. მაგიდასაფ რით, მაგიდასთან სამი სკამი, ერთი ტახტი).

### ბაბაღე

**ბაბ.** ღმერთო, ღმერთო! როგორმე დაშირჩინე ჩემი ოქრუა; ღმერთო, ნუ მამასწრობ მის გლახა საქმეს. ის რომ საღდათათ დავიგულო, მე აღარ მოვჩივებ ჯავრით, მეც იქ უნდა წავეყვე. (ფაქრის შემდეგ) რა ვიცი, იმედი კი მაქვს, ძალიან მოხერხებული და ნასწავლი კი არის ჩვენი მწერალი, ყველას საქმეს უკეთებს, ხალხი მაინც კი უჩივის, მაგრამ ხალხის საჩივარი იმას ფეხებზედაც არ ჰკივია. ერთი კი გლახა საქმე ჩაუდენია: მასიკელას ბიჭისთვის რაღაც ქაღალდში ოცი მანეთი გამოუტყუილებია და მერე ისევ ის გაუმტყუნებია. პრისტავს ნაობახტში ჩაუგდია. პრისტავს თურმე ისე უყვარს, რომ თვალში ჩაუარდეს თითს არ ამეისავამს. მისი ცოლიც ყველას უყვარს თურმე, ყველას ეგუება სულ პრისტავთან და „ვოენი სლედოვატელთან“ დაიარება თურმე. არა, არა! ჩვენი მწერლის იმედი ძალიანა მაქვს.

### II

### იგივე და მატათი.

**მატ.** საღამო მშვიდობისა, ბაბაღე!

**ბაბ.** იცოცხლე მატათი, გენაცვალე დაბრძანდი.

**მატ.** სხვა, რა ჰქენი ბაბაღე. ოქრუას საქმის?

**ბაბ.** რა ვიცი, შენი ქირიმე, ჩვენი მწერალი დაგვიბრდა საქმის გაკეთებას.

**მატ.** აბა ნულარ გეშინია ბაბაღე, შენი ქირიმე; იმან თუ საქმეს მოჰკიდა ხელი, გააკეთებს. იმის გაკეთებული არაა ხელმწიფეს მიერთმევა. სწავლას მოხერხება უნდა; რამდენია იგი რაღაც უნივერსია, თუ სემილარია იქიდგან გამოსული, მაგრამ ჩვენი მოსე მწერლის მეათედი საქმეც არ შეუძლია. ჩვენი დიაკვნის შვილს „სემილარია“ გაუთავებია, მაგრამ საპრისტავო თხოვნაც ვერ დამიწერა.

არა, ბაბაღე, ღვთის მადლით საქმე გაკეთდება, ოქრუა დაგრჩება. ამ შემოდგომაზე ერთი ციცაც ამოურჩიოთ და ქორწილშიც ვიქვიფოთ.

**ბაბ.** რა ვიცი, ჩემო მატათი, ნეტაი ღმერთი არ მამიძულელებდეს და . .

**მატ.** (აწვევტილებს) არა ბაბაღე, არა, იმედი გქონდეს, მოსე მწერალს ბევრი სასაღდათო გადაურჩენია, მართალია ფულსაც ბევრს იღებს, მაგრამ რა ჰქნას: იმასაც გასამრჯელო უნდა, ცოლ-შვილიანი კაცია. შენ რამდენს ვახდევინებს?

**ბაბ.** ხუთი თუმანი უნდა მივცე. ხელში ერთი კაპეკი არ დამესწროდეს სოფონას ხარები გავატანე გასასყიდათ. გუშინაც ჰყავდა, მაგრამ ვერ გაეყუნდა. როცა გიჭირს კაცს ძნელდება საქმე. უწინ ხარებშიათ თუმანს მაძლევდნენ, ეხლა ხუთ თუმანაც არავინ ყიდულობს. იციან რომ მიჭირს. (დადუნებულად) თუმცა იმ ხარების გაყიდვა ძალიან მძნელდებოდა. ისინი იყვნენ ჩვენი მარჩენალი, მაგრამ რა გქნა, მიჭირს. . .

**მატ.** რაფე ჩივი ვოჟო, ოქრუა ხარების ფასს სამ თვეს აიღებს, მერე ახლა კიდევ ზევოლში მუშაობა იწყება ბათუმში.

**ბაბ.** ნეტა გადარჩებოდეს. არ დავიკებ.

**მატ.** მშვიდობით, მშვიდობით ბაბაღე!

**ბაბ.** მოიცა ვოჟო, რა გჩქარება?

**მატ.** გმადლობ, მჩქარება. საილიო უნდა გაუგზავნო დროზე ყანაში მეღვინის, თორემ ხომ იცი რავარი კუჭიანია (შიდას).

**ბაბ.** (თან აჯაგებს შავიდას) რათ დეიგვიანა სოფონამ? ვაი თუ ვერ გაყიდოს ხარები? თუ ფული ვერ ვიშოვნე, დეილუბება ჩემი საქმე. (ფლტა ხნის შემდეგ) აღარც ოქრუა დაბრუნდა მღვდლისგან. (დაფიქრდება) არა. მამა ათანასე არ მეტყვის უარს, ძალიან გულკეთილია, ღმერთმა გაუძლიეროს ცოლ-შვილი. (შიდაგება ფანჯარასთან, უძახის), თებრო, თებრო!

**თებროს ხმა:** გიხსენებ, დედა, გიხსენებ!  
**ბაბ.** სადა ხარ შე ქალო, რომ წახვალ და შენი მოსვლა აღარ იქნება ხოლმე; ხომ იცი ამელამ მწერალი მოვა, მღვდელი, ჩვენი მამასახლისი; იმათ ხომ იცი ვახშამი უნდა, პატივისცემა.

**თებ.** სად ვიქმნებოდი, ბეჩა, ბაღებს ბატები გავარეკიე.

**ბაბ.** სოფონამრათ დ ივეიანა არ გიკვირს.

**თებ.** რა ვიცი, გვიან მოვიდეს არ დაეძებ, ნეტავ ხარებს გაყიდდეს.

(ამ ღრას შემოვარდება აქრუა თავ-სისხლიანი, ბაბაჯე და თებრა ფრთვე შევარდება)

III

იგინივე და **ოქრუა**.

**ბაბ.** რა იყო შეილო, ნენა ვინ მომიკლა, ვინ დამისახიჩრა შენი თავი შეილო ოქრუა!

**ოქრუა** არა მიქისრა, ნენა, ცოტათი მაქვს ქა მიხვედრილი.

**ბაბ.** (არა ტყუება) ვინ შეილო, ვინ?

**ოქრ.** არ იცი ვინ არის ჩვენი მტერი?

**ბაბ.** ვინ შეილო, ვინ მტერათ იქცა, შეილო, ყველა თქვენი მტერი და დამაწყევარი.

**ოქრ.** მღვდლიდან რომ დავბრუნდი, დე-ვინახე რომ ბაგრატ ქურაძეს ჩვენი ღობე გვერდვია და ურემი მოყავდა ჩვენ ყანაზე, ვეღარ შევითმინე, მინდოდა ურემი და ხარები წამერთმია, მაგრამ ვერ წავართვი, შეილიც თან ახლდა ნიკუაი, დამიშინეს ქვები, ძლივს გამოვასწარი.

**ბაბ.** ვაი, ის არ მოასწრო შეილო წმინდა ვასილის მადლმა კალანდას! რა უნდა ჩვენ-გან, რას ჩავვაცივდა. ის ორღობე „სულში“ ჩვენ მოვიგეთ, კიდევ გვართმევს; მაცადოს ამალამ მავარ ქალაღს დავაწერინებ მოსეს, სულში უჩივლებ კიდევ, (ბაბაჯე თან და თან დამშვიდდება. აქრუას თავს შეუხვევენ)

**ბაბ.** (აქრუას) მღვდელმა რა გითხრა შეილო, მოვალა?

**ოქრ.** მოვალა, მე რაც შემძლია ყველაფერში დაგეხმარებიო.

**ბაბ.** ღმერთმა მიცოცხლოს მისი თავი.

**ოქრ:** სოფონა არ მოსულა კიდევ?

**ბაბ.** არ მოსულა შეილო!

**ოქრ-** გევიგე დღეს „პარასკეობაზე“ ძალიან იაფი ყოფილა ხარები.

**ბაბ.** არ დევებებ შეილო, ოღონდ შენ დაგარჩინო.

**ოქრ.** მე რომ წავსულიყავი ის მერჩია, უხარო გლები კაცი რა მოხელეა.

**ბაბ.** არაფერია შეილო, ხარებს კიდევ ვიყიდით.

**ოქრ.** ყიდვა ადვილი გგონია შენ.

IV

იგინივე და **სოფონა**.

**ბაბ.** რა ქენი შეილო, გაყიდე ხარები?

**სოფ.** (მოწყენით) გავყიდე, ხუთი თუმანი მეტი ვერ ავიღე.

**ბაბ.** რატომ ხარ ასე მოწყენილი შეილო?

**სოფ.** მოწყენილი! რა გაქვს გასახარებელი. მარჩენალი ხარები ტყვილა დავკარგე.

**ბაბ.** რა გაეწყობა, შეილო, როგორც გიჭირდეს—ისე გიღირდესო. თქვენ მყავდეთ, შეილო, კარგად და იმისთანა ხარებს კიდევ ვიყიდით.

**სოფ.** (გაივლ-გამოივლის, დაინახავს თავ-გატუხილ აქრუას). შენ რა დაგემართა, ბიჭო

**ბაბ.** (არ აცხადებს აქრუას) მისთანა ქირი დაემართა ბაგრატს, რომ ამოუწყვიტა სულ ცოლშვალი!

**სოფ.** (აქრუას) ბიჭო, ხომ გაიგე მისი ამბავი, რატომ არ შეერიდები.

**ოქრ.** შეერიდე, შეერიდე და არღვევიე ღობეები, სულ დავვიბრიყვა, ზურგზე შეგვაჯდა.

**სოფ.** შენ მე მაცალე, მე ვარ უფროსი, მე გაუსწორდები მას. (საკრთხ სიჩუმე).

**სოფ.** მიაღვ-მოალაგეთ, მალე მწერალი მოვა. სერიდან დავინახე, ცხენები მოდიოდა, (კარებიდან ისედება) მოსულა კიდევაც, (აქრუას) ადგი, ბიჭო, გაუღე ქიშკარი, ცხენი ჩამოართვი (აქრუა გადის)

**გრ. საქარიქედელი**

(გაგრძელება იქნება)



# კრიტიკული შეცთომებები

## VII

ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზია.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ჩვენს კრიტიკოსებს დიდ შოკსათ მიაჩნიათ და უკვირთ, რომ შთა-  
მოშავლობას იგი თითქმის დაუწევებელი უყვს.

მე არ უარყოფთ, რომ ალ. ჭავჭავაძე დიან ბუნებრივი შოკსადა, მისი ლექსები საზოგადოთ გრძნობიერა და ზოგიერთა განსაკუთრებულ ურთადლებასაც იძლევის; მაგრამ, მიუხედავად ამისა, თუ მისი ლექსები შეითხვევლათ ფართო წრეს ვერ მისწვდა, ამ გარემოებას თავისი სანატიო მიზეზები აქვს.

მე უგვი ნათქვამი მაქვს, თუ რა მოეთხოვება პოეტურ ნაწარმოებს, და ჩემის აზრით აი რადანა ნაკლი აქვს ალ. ჭავჭავაძის ლექსებს, იმისთანა ნაკლი, რომელიც ჩვეულებრივ შეითხვევლებში მათ გავრცელებას ხელს უშლის.

უმიხვედრისთ ეოფლისა ალ. ჭავჭავაძის ლექსები უმეტესათ შიშიმე უნათ არის დაწერილი, მრავალი გაუგებარი სიტუვა და გამოთქმა ხვდება შივ სანატიო შეითხვევლს, რაიცა აბრკალებს აზრის გაკებას, და, როგორც ნათქვამი მაქვს, როცა შეითხვევლს აზრი არ ესმის, იმისთანა ნაწარმოები მის გრძნობას ვერ მიახიბლავს და მის ფიქრსა და გონებას ვერ გაიტრეებს როცა აზრიც გაუგებათ და გარეტანი ფორმაც მოწონებიათ, ალ. ჭავჭავაძის ამისთანა ლექსი კიდევაც გავრცელებულა ხალხში: ეს არის ლექსი „ლოთებო, ნეტავი ჩვენა“. ეს ლექსი მაინც და მაინც დიდ ღირსების არ არის, როგორც პოეტური ნაწარმოები, მაგრამ ჩვეულებრივი ცხოვრების შესაფერო შინაარსისა და განსაკუთრებით ფორმის წყალობით გავრცელებულა იგი ხალხში და დღემდე ხასიშდერო ლექსათ არის მიჩნეული.

ამა რა შესადარებელია ეს ლექსი ან „გზავსას“-სთან და ან „გოგნა“-სთან? „გავსასია“ და „გოგნა“ ნამდვილი პოეტური მხატვრული ნაწარმოებია; მაგრამ, თუ ეს უგანასკნელი ლექსები კრიტიკოსებს გარდა თითქმის არავის ახსოვს, ამის მიზეზი მათი გარეტანი შიშიმე ფორმისა, შიშიმე ენა, ხშირათ გაუგებარა.

ამა დაუგვირდით, რა მშვენიერი სურათი იხსტება, მაგალითად, ლექსის „გავსასიის“ შემდგომ სიტყვებში:

„თხემის შეუხვევარის პონტიის ზღვის შიმურღნობა და ტურფითა სალითა კასშიისა განმზობა—

კავკასი გოლიათი წევს შორის ორთა ზღვითა, თვის შორისრე შემდგელი დიდ საგვირგვლებათა. მას შინა ქსნანს ბუნება საშინელად და მშვენიად: გვერდნი მისნი ძლიერნი, ოფლეინლი შეუსვენად, ქუხვით გარდმოქანნი მრისსანეთ მდინარეთა, ჩჭწწუვენ და განაპოხებენ შორიელთა გვლებთა. იგი ზურგი, მზიდველი მთებზედ შემდგართ მთებისა,

ათასწლეფანთ ოფლეითგან ზეზავად შენაკრებისა, ოფესმე რომელსამე მათ სხეტაკ ტვირთავანსა გარდმოგლებს ზეზავებად, სტემენ ვურსა და თვალსა სრიალნი განაშტერნი, სახენი განმპკრთობნი, ვინუდ-ლოლთა ბორცვები, ერთმანერთის მასწრობნი“.

ან „გოგნა“ ში:

„მოგნა, ტბა ვრცელი, ხშირვანებით ზღვისა მზადავი, ოფესმე ზვირთთა აღქაფებით მღელავს მრისსანელად; ზოგჯერ, ვით ბროლი გულუბრევილო, წმინდა, უძრავი, თვის შორის მხატვრის ცისა ლაჟვარდს და მთათა მწვანეთ.“

ან კიდევ იქვე:

„მიხედე ამ ვრცელსა ვაკეს, ქუხვრიელსა ბნელად, კვლავ სანარეზსა, სად ქტონიათ ტაიჭთა სობოლად, ზოგნის ტარება ჭაბუკ-მხედარო გამოსადგელად, შუბთა ტრიალი, ჯირითთ ტურტა და ისართ სობოლად.“

არსავე ამ ლექსში, „გავსასიის“-სა და „გოგნა“-ში, მშვენიერი სურათები იშლება შეითხვევლის თვალწინ, მაგრამ ისეთი შიშიმე ფორმით არის ებ სურათები გამოსატული, რომ ჩვეულებრივი შეითხვევლესათვის ისინი თითქმის გაუგებარი რჩებიან.

კრიკოლ ობოლიანის ენასაც საზოგადოთ აკლია სიმარტივე, მაგრამ მისი ლექსები შედარებით ბუნრათ უფრო ადვილი განსაკუთრება და განსაკუთრებით პოეტური ადგილები—ბუნრათ

უფრო მომხიბლავით, ნაზი სტილით არის გა-  
შასატული.

მოიგონეთ გრ. ორბელიანის შიკრი იმავე  
კავკასიის შიკრის აღწერა, რასაც აღ. ჭავჭავაძე  
თავის „კავკასია“-ში აგვიწერს:

„სად შიანი უნების გვირგვინით  
არინ ტადმდე ასუღნი,  
და მდინარენი სახილთთ  
ზვიერთის ზვიერთებულ მსრფელნი,  
უფსკრულნი წაბნელებულნი,  
კლდენი თვალგაღწეულნი,  
სად შიანი ღირსი სდევს ჟისვისა  
და შიან ქვეშ დენან დრუბუნნი!“

მოიგონეთ კიდევ ლექსის „იარაღი“-ს ის  
ადგილი, რომელში ათქვამს ძალიან გულს ზევით  
შოყვანილს აღ. ჭავჭავაძის ლექსის „გოგნისა“  
სიტყვებს, მაგრამ ძალიანაც განსხვავდება მათგან  
თავისი მშვენიერი გამოსატყულებით:

„აჲ, საამო მსჩანს სანახაგი:  
ცხენთა თქრიალი, შუბთა ტრიალი,  
ჯირითთ სრიალი, ყურთა ზრიალი,  
უხანჯთა ცემა, ცხენთა სტომა,  
კვალად ზეხტომს და ხმაღთ კრიალი!..“

დაის, სიმარტივე და გრძნობიერობა: აი  
რას ასუღდგმულებს ა მშვენიერებს შოკტურ  
ნაწარმოებს!

სილოვანი.

(ამ წერილის დასასრული შემდეგ ნომერში იქნება)

### ობოლი

(სიმღერა ხალხურ კილოზე)

ობოლი ვარ, დაჩაგრული, პატარა,  
უშემწეო, დავდივარ კარის კარა.  
არვინა მყავს ტკილილ ნუგეშმცემელი,—  
ყველა გახდა ჩემი მგომობი, მცემელი;  
დედინაცვალს ვეჯავრები ქირივით,—  
ის კი უნდა, ვემსახურო მზირივით.  
საპალნეს რო ავიკიდებ ვირივით,  
ვაჰმე, ვკნესი, დამდნარი ვარ ჩხირივით..  
ასეთია ობლის ბედის წერაო,—  
გულქვა ხალხი ვერვინ დაჯერაო!..

იავო ტეტუნაშვილი

## სახალხო თეატრის ისტორია

(იხ. „თ. და ც.“ № 50).

სექტემბერში „ნაძალადევის“ თეატრის დათვა-  
ლიერების შემდეგ საჭიროთ სტრა მისი  
ახლად შეკეთება. ამ მიზნისთვის სთხოვა რუს-  
ულ კითხვათა კომისიას სესხად 50 მან. ამისათ-  
ნავე სთხოვა ქართულ დრამატულ საზოგადო-  
ებასაც, რომელიც 50 მანათით დაეხმარა. ამის  
გარდა სთხოვა ხის მასალა შექმათად შექმნენ  
იგანე სერგებოვსკის, რომელიც გამოუტყვევდა.  
შეკეთეს თეატრი, რომელიც სექტემბერს დაუჭრა  
82 მ-და 70 კმ. ბილეთების ფასი იყო ათ რიგში  
10 კმ. დანარჩენები 5 კმ. სულ იტყვევა 500.  
წარმოდგენები მარამობისთვის ნახევრადან  
დაიწყო დაიღვა ორი წარმოდგენა: „ხანუმა“ ა.  
ტკაკლისა და „ძუნწო“ გ. ერისთავისა.

თუშის დიდი სურვილი იყო ნაძალადევი  
წარმოდგენების დადგმისა და სახალხო თეატრიც  
სწორედ ქალაქის განაპირა უბნებშია საჭირო,  
რო მდის მცხოვრებლებსაც უფრო დარბიი ხალხი  
შეადგენს, მაგრამ, საუბედურთ, წარმოდგენების  
დადგმა მალე შესწყდა.

აი, მიზეზიც თეატრი გაკეთებული იყო  
ქალაქის ადგილში, რომლის მოიჭარბდრედ იყო  
ვინმე ფურცელაძე. რადგანაც ის ჯერჯერობით  
არა ხმარობდა ამ ადგილს, მისთვის დაუთმო ზე-  
მით მოხსენებულ ამხანაგობას წარმოდგენების  
გასამართლად. ბოლოს ფურცელაძემუე მოითხოვა  
თავისი ადგილი უკან და საქმე სასამართლომდე  
წავიდა. სასამართლოს დადგენილებით, ადგილი  
ისევ ფურცელაძეს უნდა ჩაუბარებოდა და საზა-  
ფხულთ თეატრიც გადაეკანათ. ამის შემდეგ  
გამართა ჯანაპირი ადგილის დათმობაზე ფურ-  
ცელაძე სექტემბერს თხოვნას დათანხმდა იმ შირო-  
ბით, თუ ქალაქი მას სხვა ადგილს დაუთმო-  
და. სექტემბერში მიმართა კითხვათა კომისიას, რომ  
შეამდგომდობა გაეწია ქალაქთან ამის შესახებ.  
გაიარა დრამ. თეატრი ნელ-ნელა დაინგრა და  
ამით შესწყდა „ნაძალადევის“ წარმოდგენები.

გ. ჯაბიური.





**სახალხო სახლში**, ორშაბათს 121XII დრამა-ტიულ სახ. დასის მიერ წარმოდგენილი ბერშტეინის „ურისის სისხლი“ დონიური დრამა გამოდგა. აქ ზომიერის ხაზმოსმით არის დასურათებული ახალგაზრდა ფრანგ ქრისტიანთა ზიზღი ებრაელებისადმი. ჰერკოგის შვილი ტიბო (ზარდალიშვილი) შეურაცყოფილად სთვლის თავს, რომ პარიზის საკრებულოს წევრთა გვარებთან ებრაელ გუტლიბის (იშხნელი) გვარია მოთავსებული და სთხოვს მას, საკრებულოს წევრობას თავი დაანებო. გუტლიბისაგან ამის გამო ურს მიიღებს, რისთვისაც ტიბო მას ღუელში იწყებს, გუტლიბი არც ამას სთანხდება. ტიბო ამის შემდეგ საკრებულოში მას შეურაცყოფას მიაყენებს და ამით ღუელში გამოსვლას იძულებულსა ჰყოფს. მოდის ღუელის დრო და სწორედ აქედან იწყება დრამის ნასკვი. საქმე ის არის, რომ ტიბოს დედა აგენსა (დავითაშვილი) ამ ამბავს გაიგებს და ვერ შეურთვდება იმ აზრს, თუ სიციფილით როგორ მოიშოროს ან საყვარელი შვილი, ან გუტლიბი, რომლისგანაც მას ტიბო შესძენია. და დაიწყებს გამომძებნას საშუალებისას. სწორედ ამ ძიების დროს ტიბო გაიგებს, რომ მის არსებობას ებრაელის სისხლი ურევია და ეს ამბავი განწირულების სამოსელში ახვევს. თვით ეს ამბავი კი დედის სიყვარულით, მამობრივი გრძობითა და ადანიანური ღირსებით იმოსება, და ზიზღიანიანობის უკუგდება თავდება იმითი, რომ ტიბო ჯავრითა ჰკვდება... ვერ ვიტყვი, რომ ამ დაბულის განვითარებას დიდის ყურადღებით გვასმენინებდეს, მაგრამ ცხადია ის რომ დრამა მეტ შემთხვევაში წარმოტყდა.

შესრულების მხრივ უნდა ითქვას, რომ ზარდალიშვილი ჩინებული იყო, განსაკუთრებით მეორე მოქმედებაში, სადაც იგებს, რომ ებრაელის შვილია. კარგი იყო აგრედვე დედობრივი გრძობით გამსჭვალული დავითაშვილი. ებრაელ გუტლიბის როლი მეტად მძიმეა და იშხნელმა დაკვირვებულად შეასრულა (როლის უცოდინარობა კი ხელს უშლიდა). მისი სახიობა ბევრს ვერ მოხიბლავდა, რადგან ჰეჰა-ქუხილით შესრულებულ როლებს უფრო ვფასებთ... საერთოდ მსახიობთ როლები სუსტად იცოდნენ, რის გამოც ხშირად სიტყვებს ამხინჯებდნენ...

დასასრულ წარმოადგინეს ვ.დ. „ჩათრევის ჩაყოლა სჯობა“, რომელშიაც ტასო აბაშიძემ ვ. ბარგელმა მოხდენილი აღსრულებით ბევრი აცინეს დამსწერი საზოგადოება.

◆ **ოკეპა** „სევილიელი დღაძი“, ახალ კლუბის სცენაზე ქრისტეშ. 13 წარმოდგენილი, პრე-

ლი გამოდგა: მდეროდენ ქართულად, რუსულად და იტალიურად. გარდა ამისა წარმოდგენას უცებ დადაგმა ეტყობოდა. ეს კი მეტად სამწუხაროა, რადგანაც ოპერაში დიდაც ღირსეული და ნიჭიერი პირნი მონაწილეობდნენ: ქ-ნი კალანდაძე-აგასოვისა, ცქვიტი, და მალხაზი აღმასრულებელი როზინასი, ბ-ნი ბროჯი—ეს ერთი საუეთესო ფიგარო, რომლის სახიობას მართლაც აღტაცებაში მოჰყავდა დამსწრენი, ბ-ნი აგასოვი (დონ ბაზილიო) და ბართოლო (არლუთაშვილი) მოხდენილი, დახლოვებული მსახიობნი არიან, ლიტბარი ნ. გ. ქართველიშვილი, ჰუსიკის მცოდნე, ბეჯითი და ორკესტრის გამომცდილი ხელმძღვანელი, რომელიც საზოგადოებაში ტაშით დაჯილდოვებითქმის ყველას, ბ-ნ ბროჯის გარდა, გრძემბი რიგინი ვერ ჰქონდათ. სცენის სინათლევ პირველყოფილ ყაიღით იცვლებოდა ერთბაშად. მიუხედავად ყოველივე ამისა, ქართულად ამ ოპერის დადგმა სასიამოვნო მოვლენა და სრულ წარმატებას ვუსურვებთ. ერთხელაც არის ჩვენც უნდა ვეზიაროთ თუ არა ევროპიულ კლასიკურ მუსიკას! ხოლო ეს-კი ჩვენი ეროვნული ოპერის წარმოშობა-აღორძინებას დაჩქარებს. უსავენო

**წიკილი სეპევი**

◆ **ქართ დრამ**. დასი ხვალ. ორშაბათს ქრისტეშ. 19, სახალხო სახლში წარმოდგენს ჰაუბტმანის ზღ.-დრამას „დაძირულ ზარს“.

◆ **დრამატიულ საზოგადოების** საზოგადო კრება (წინა კრების გაგრძელება) დღეს დაიწყება ახალ კლუბში, შუადღის 1 ს. საგნები: 1 გამგეობის უწლიო. რი ანგარიში და მოხსენება; 2, პენსიონერთა საკითხი; 3, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა.

◆ **ახალ კლუბში** გასულ კვირას ქართ. დრამ. დასმა წარმოადგინა „ედმონდ კინი“. წარმოდგენას უმეტესად მოსწავლე-მოზარდნი დაესწრენ ისიც ძლიერ ნაკლებ. კვირა-უქმე დღეობით დასმა მარც ისეთი პიესები უნდა დადგას, რომ ჩვენი მოსწავლენი მიიზიდოს, დააკმაყოფილოს და აღზარდოს. გასულ ხუთშაბათს წარმოდგენილ იქმნა „ჯერ დიხთაცნენ—მერე იქორწილეს“.

◆ **სარფუხის კლუბში** ყოველ ოთხშაბათობით იმ.რთება ქართული წარმოდ ენები.

◆ **პრტაანის ქართ. სემ. — მოქმ. საზ-ის** განყოფილება ამ თვის 18 დ. არტა ნში მართავს სადამოს ქართველ მაჰმადიანთა შორის სკოლის დასაარსებელ თანხის გასაძლიერებლად. სადამოსათვის ყოველწლიურ სურსათისა და საგანგებო ნივთების შესაძენად თბილისში იყო გამგეობის წევრი ბ-ნი კ. ოდიშარია. სადამო ფა. თოდ იქნება მოწყობილი. როგორც გადმოგვცეს, არტაანში ეს პირველია და მის შემდეგ ყოველწლიურად გაიმართება: სადამოს შინაარსი: 1 რეფერატი თამარ-მეფის დროის საქართველოს ცხოვრებიდან,—წაიკით. ტ. დ. კახელი; 2, ერთობაქმედებინი ვოდვეილი. 3, ცოცხალი სურათი-თამარ მეფე და შოთა რუსთაველი; 4, ცეკვა; სიმღერები (ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებიდან) და სხ.

# მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის

## თეატრს და ცხოვრებას

(დაწვრილებით იხ. შემდეგი გვ.)

### თანამედროვე აზრი

გაზეთი ღირს რეკორდ თბილისში, ისე უკონციაში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მან, სამი თვით 4 მან. 20 კაპ., ერთი თვით 1 მან. 40 კაპ.

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინააღმდეგადაა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлис, почтовый ящик № 199, Владею Малакиевичу Вохотадзе. თბილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში“, ოლღას ქუჩა, № 6.

## „სახალხო ფურცელი“

სურათებიან დამატებით ღირს წელიწადში 15 მან. ნახევარი წლით 8 მან. სამი თვით 5 მან. წლიური ფასის შემოტანა შეიძლება ნაწალ-ნაწილად:

ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 აპრილისათვის 4 მ. და 1 აგვისტოსთვის 4 მან. კანტორა ხელის მოწერისათვის ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევს 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. რედაქციის მისამართი: ტფილისი, „სახალხო ფურცლის“ რედაქცია, სახალხის ქუჩა № 6 Тифлисы, редакция „Сахалхо Пурцели“ поч. ящ. 190

## „უშაკის მათეაზი“

რისტული ჟურნალი. ფასი მთელი წლით: 7 მან. ნახევარი წლით 4 მ. სამი თვით 2 მან. თვეში 70 კ. ვი-საც უნდა ჟურნალი 1 იანვრიდან მიიღოს, ფულა ეხლავე უნდა გამოგზავნოს შემდეგის მისამართით: თბილისი, ფოსტის ყუთი № 96, სილ. თავართქილაძეს.

## 20 ქრისტიანობის-საზოგადოებრივი

თვეს თბილისში გა- „საზოგადოებრივი“ მოგვა სამხატვრო-სალიტ კრებულში მონაწილეობას იღებენ ცნობილი მწერალ-კრიტიკ. რედაქტორი-გამომ. გ. ლეონიძე მისამართი: ნიკოლოზის ქ. № 7. სანდრო შანშიაშვილს, აგენტებს ვთხოვთ წინააღმდეგადაა გადაიხადონ.

უფრო მეტი საპოლიტიკო, საეკონომიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „საქართველო“

უფრო მეტი სურათებიან დამატებით. გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურს ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობის, სასოფლო მრეწველობის, სასოფლო მეურნეობის წარმატებას, საპროფესიო და სატექნიკო ცადნათა გაერცვლებას.

გაზეთს საკუთარი კორესპონდენტები ჰყავს საქართველოს მნიშვნელოვან დაბ-ქალაქებსა და სოფლებში და აგრეთვე პეტროგრადსა და მოსკოვში

გაზეთის ფასი: მთელი წლით — 15 მ ნახევარის წლით 9 მ. სამის თვით 5 მ. ერთის თვით ქალაქში 1 მ, 80 კ ქალაქ გარეთიდან გაზეთის გაწერა ერთის თვით ფოსტის საშუალებით არ მიიღება. არა წლიურ ხელის მომწერთათვის გაზეთი თვის პირველ რიცხვიდან იქნება ნაწილად-რაშევი. წლიურ ხელის მომწერთათვის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს 7 მან., პირველ მარტისათვის 5 მან. და პირველ ივნისისათვის 3 მან. ვისაც სურს გაზეთის გაწერა წლიურად, ეს უნდა მოახსენიოს პირველსავე მოწერის დროს რედაქციის მისამართით: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. კანტორა ღიაა: დღე 9 — თბ ს. — მდე სადამ. 5 — 7-მდე. რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი. გამომც. აშხ. „საქართველო“

## სახალხო სახლი

ორშაბათს ქრისტეშ. 19 1916 ქართ, დრამ. საზ-ის დასის მიერ. გ. გამეზღობის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება ჰ. ჰაუპტმანის

## „დაძირული ზარი“

დრ.—ზღაპარი 5 მოქ. თარგ. ი. მაჭავარიანისა. მონაწილეობენ: ქქ-ნი: ტ. აბაშიძე, ნ. დ., ვითაშვილი, მ. ქილარჯიშვილი, ა. ქიქოძე, პ. შოთაძე, ნ. ჯავახიშვილი, ნ. მაჭავარიანი, ნ. მქედლიშვილი; ბ-ნი: ვ. გამყრელიძე, ი. ზარდალიშვილი, გ. იშხნელი, გ. ფრონის-პირელი, ი. თარალაშვილი, ნ. ჩაგუნაძე და სხ. დასაწყ. სალ. 8 ს. ფასი: 1-70 კ 20 კ-დე. რეჟისორი \* \* \* აღმინისტრ. დრამ. საზ — ბისა.

# V წ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის V წ.

სათეატრო სალიტერატურო. სამხატვრო წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ კმირაშული შურნალი

## თეატრი და სსოპრები

(წელიწადი შეხუთე)  
გამოვა სრული პროგრამით,

**აკაკის** „ნაკვსნაბი და ბრძანული სი-  
ბჰვანი“ ვტორის სურათებით  
ფაქსიმილე და ბიოგრაფიით.

**კ. ლოგთათიძის** „რამული  
ანჯარი“  
რის სურათით, ფაქსიმილეით და ბიოგრაფიით.  
უკვე ცნობილი რედაქციით

შურნალი კარბითა გარეშად, კომპონიშული მიმართულაქისა

შურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამსახურებული და ახალგაზდა ნი-  
ჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოსები, მუსიკოსები, მხატვრები

შურნალის ფასი არიყუ ჰრეშით წელიწადში ღირს 8 მან. ნახევრის წლით.  
4 მან. 50 კან. თითო ნომერი ყველგან 15 კან ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად  
შეიძლება: ხელის მოწერას ღირს 3 მ., 1-შეისამდე—3 მ. 1-ელ ნაკვსნისთემდე 2  
ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, „სორაპნის“ სტამბის კანტორაში (მალათვის კუნ-  
ძული, № 1, გორნცოვის მეორე ხიდის ყურში). ქალაქ გარეთ ხელის-მომწერთ ფული უნდა  
გამოკვანონ შემდეგის მასმართით: Тифлис, под „Театра да Цховверა“ Исафу Исе-  
ДЖИРИШИ. რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

### „განათლება“ ჟურნალ-გაზეთებს

კ. თბილისში ოლღას ქუჩა № 6.

გვსაყენებ ავეტებს: „თეატრი და ცხე-  
რება“, „თან. ხსნი“, „უშ. მათანხა“, „საქარ-  
თელ“ „Тифлисский Листок“, „Рус-  
ское Соло“, „ქორაზნი“, კედლის კალენდ-  
რები და სს. და სს. ქართული წიგნები. ფუფი  
და წარბები უნდა გამოიგვანონ შემდეგი ად-  
რესით: Тифлис, почтовый ящик № 96,  
☉ Таварткиладзе.

### ახალი კლუბი 1 კმირის კომპ

ქრისტე. 18-25  
კმირა — რუსული წარმოდგენა. ბილეთი 50-30 კ.  
ორ შაბათი — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50 კ.  
სამშაბათი — საოჯახო საღამო  
ოთხშაბ. — სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.  
ხუთშაბ. — ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კან.  
პარასკე. — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე.  
შაბ. — რიადნოვის საღამო  
კმირა — რუსულ წარმ. ბილეთ. 5-30 კ.  
დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 საათ..  
წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8 1/2 სა  
შესას. ფასი მანდილოსნ. 50 კ, მამაკაც. 1 მ.

### ხარკოვის საზო- გადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტზე, № 163)

ერთი კვირის პროგრამა ქრისტეშ 18-25.  
ორ შაბათი — სინემატოგ. სიმებ. ორკ.  
სამშაბათი — სინემატოგრაფი: სიმებ. ორკეს.  
ოთხშაბათი — ქართული წარმ სიმ. ორკესტ.  
ხუთშაბათი — სინემატოგ. სიმებ. ორკესტრი.  
პარასკევი — სიმებიანი ორკ. წარმოდგენა  
შაბათი — სიმებიანი ორკესტრი.  
კმირა — სიმებიანი ორკესტრის კონცერტი.

